საქართველოს მთავრობის განკარგულება

№200 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეთ ამავე დანართში მითითებულ ფიზიკურ პირებს.

2. ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში;

ბ) ამ განკარგულების დანართში მითითებული ფიზიკური პირები ამ განკარგულების გამოცემიდან 7 წლის განმავლობაში არ გაასხვისებენ ამ განკარგულების საფუძველზე საკუთრებაში მიღებულ უძრავ ქონებას.

3. ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს აღარ წარმოეშობათ უფლება, „1989-1990 წლებში საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის საათლის რაიონში ჩასახლებული ზოგიერთი ოჯახის უკან დაბრუნების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის პირველი აპრილის №156

განკარგულების საფუძველზე მოითხოვონ სახელმწიფოსგან ან მუნიციპალიტეტ(ებ)ისაგან ან სხვა პირისაგან რაიმე სახის კომპენსაცია ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

	[illegible]	[illegible]	სახელი	გვარი	საერთო ფართი	ნაკვეთი	(ქონების) საკადასტრო კოდი N	მისამართი
1	p4120947		სალთანათ	სულეიმანოვა	156.27 კვ.მ	1501.00 კვ.მ	66.56.03.340	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი წითელუბანი
	06437075		ზულფიგარ	სულეიმანოვი				
	p4879644		ზემფირა	მირზაევა (სულეიმანოვა)				
2	p1466596		რუსტამ	სულეიმანოვი	47.30კვ.მ	721.00კვ.მ	66.56.03.336	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი წითელუბანი
	p1466595		ელმირა	ჩახალოვა (სულეიმანოვა)				
	AZ- I 882509		გაჰრამან	სულეიმანოვი				
3		01008049560	ვაგიფ	ტაშტანოვი	150.25კვ.მ	1955.00კვ.მ	66.56.03.337	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი წითელუბანი
	p3685797		აინურა	ტაშტანოვა (ჩახალოვა)				
	c00570519		სევინჩ	ტაშტანოვა				
	c00570502		ხადიჯა	ტაშტანოვა				
4	p1678715		ნასირ	რიზმანოვი	91.00კვ.მ	1371.00კვ.მ	66.56.03.339	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი წითელუბანი
	p2355234		ფირდას	რიზმანოვა				
	AZE N 05855712		ისმაილ	რიზმანოვი				
5	p4543978		ამირშაჰ	ლატიფოვი	176 კვ.მ.	2311.00კვ.მ	66.56.03.338	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი წითელუბანი
	p2146710		ზუბეიდა	ლატიფოვა				
	c00636643		ჰეიდარ	ლატიფოვი				
6		33001070735	გულჩიჩაგ	სულეიმანოვა	144.5კვ.მ	3185.00კვ.მ	66.55.16.110	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალშენი
			ნუსრათ	მუზაფფაროვი				